

1
1949

167
2/111
1949
1

ნიანგი

№ 13. თბილისი. 1949 წ. გამომცემლობა „კომუნისტური ცენტრი“
გამომცემის წელი XXVI
ფასი 2 მან.

დროული საყვედური

დროზე და შეუფერხებლად ავიღოთ უხვი მოსავალი.

ბრვე, უხვი და გოლიათი კარს მომდგარი მოსავალი,
თერძს საყვედურს ეუბნება: — გამისწორე კარგად თვალი.
შენს შეკერილ „ტანსაცმელში“ ვერ ვეხევი, ჩემო კარგო,
წელს ძველ სტანდარტს მე გავუსწარ, შენც შეკერე ჩემი სარგო!





მოკითხვით და ნახვის ნახვრით

წულუკიძის რაიონის სოფ. გოგა - ჯიხაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ თავმჯდომარის ამხ. ი. აბშიანიძის

მიიღეთ გულითადი მოკითხვა და წარმატების სურვილები. გთხოვთ გვერწმუნოთ, რომ ამ გაცხარებული მუშაობის დროს არ ვაპირებდით თქვენს შეწუხებას, მაგრამ შემოგვიჩინდა ერთი ნიანგელი და აღარ გვეშვება:

— გინდა თუ არა, შეეკითხე ამხანაგ აბშიანიძეს, გაცნობოს ალ. რუხაძისა და ქ. აბრამიას ჯანმრთელობის ამბავი. ეს ახირებული ნიანგელი შეწუხებულია—ვაი თუ ზემოხსენებულ მუშაკებს ქათმის ძვალმა ყელი გაუტყარაო.

რაო? რომელ ქათმის ძვალზეა ლაპარაკი? გულახდით გეტყვით, ამაზე პასუხის გაცემაც კი გავგიძნელებოდა, თქვენგანვე რომ არ გვექონდეს მიღებული სათანადო ცნობები: იმ ქათმებს, რომლის ძვლებზედაც ლაპარაკია, თქვენ ხომ უკეთ იცნობთ, ამხანაგო აბშიანიძე! ისინი თქვენდამი რწმუნებულ კოლმეურნეობას ეკუთვნოდნენ, თქვენს თვალწინ დაზრდილან და თქვენი თანადასწრებითვე გამოესალმენ სიცოცხლეს.

გახსოვთ თქვენი მეფერინეელების ფერმა? დიახ, იმაზე მოგახსენებთ: მშვენიერი ფერმა იყო. „ადგილობრივი საქიროებისათვის“ (სატაფამწვარო) ხარჯებსაც რომ თავი დავენებოთ, ბაზარზე ბლომად ვადიოდა თქვენი ფერმის კვერცხი და კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ბალანსში საგრძნობ წვლილად მოჩანდა.

თქვენ ამით ამყობდით კიდევ. მაგრამ აი, ერთ ჩვეულებრივ დღეს თქვენს ფერმაში არაჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა: თქვენ გაცნობეს, რომ ფერმაში რამდენიმე ქათამი „უხასიათოდ“ შეიქნაო.

ცოდვას ვერ დავიდებთ, თქვენ ამას დროზე მიაქციეთ ყურადღება, ჯერ აცრა ჩაატარეთ, შემდეგ მშველელად ქ. წულუკიძიდან ვეტექიმიები ალ. რუხაძე და ქ. აბრამია მოიწვიეთ.

ეს ის რუხაძე და აბრამიაა, რომელნიც მანამდეც გყავდათ „შეწუხებული“. ისინი უკვე იცნობდნენ თქვენს მეფერინეელობის ფერმას და, სიმაართლე რომ ვთქვათ, საბაბი ჰქონდათ ცოტათი გულმოსულნი ყოფილიყვნენ თქვენს ქათმებზე რადგან მათი ხორცის გემო თურმე ვერ იქნა და ვერ ნახეს მანამდე.

მათ თვალს გადაავლეს დედლებს, რამდენიმე ქათამი შესამოწმებლად აფრინეს სამტრედიის ვეტამბულატორიაში და დასკვნის მიღებამდე უკვე დანები გალესეს.

— ამბულატორიის დასკვნა გვამცნობს, რომ თქვენს ფერმაში ქათმის ავადმყოფობა გაჩენილა!—გამოგიცხადეს მათ სამტრედიიდან პასუხის მიღებისთანავე.

თქვენ, რა თქმა უნდა, შეწუხდით, დაავადებული ქათმების მკურნალობის აზრმა ვაგიველვით თავში და ჯეროვანი შეკითხვით შეაწუხეთ ექიმები.

— არაფითარი მკურნალობა!—იყო ულმობელი პასუხი.

— მაშ რა ვქნათ? როგორ გადავარჩინოთ ფერმა?—კვლავ შეეკითხეთ თქვენ.

— თქვენი ფერმის გადასარჩენად ერთადერთი საშუალება არსებობს: უნდა დაიკლას ყველა ქათამი! აქედან ავადმყოფობაში შემჩნეული დედლები უნდა დაემარხოთ, ხოლო ჯანსაღი ქათმები მღვებარშოთ და ვკამოთ!

თქვენ ელდა გეცათ. უარზე იდექით, მაგრამ ულმობელი განაჩენი უაპელაციო აღმოჩნდა. მაშინ თქვენსა და ექიმებს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

- როგორ, ყველა ქათამი?
- უკლებლივ!
- კი მაგრამ ვინ შესკამს ამდენს?

— ზოგს ჩვენ, ზოგსაც კოლმეურნეებს მიპყილით.

არ ვასკრა თქვენმა უარმა. დაერიენ ქათმებს, ატყდა კრიახი, აფართხალდნენ თავმოკვეთილი დედლები და როცა გაფუფქვის, მოხარშვისა და თან წასალებად დედლების ატრინის კომპროცია დამთავრდა, ექიმების იერიში გადატანილ იქნა ფერმის მჭებულად მცხოვრებ კოლმეურნეთა ეზოებისაკენ.

— რა გინდათ, რას გვეჩინო?—შეეკითხნენ მათ.

— თქვენი ქათმებიც უნდა გავვლიტოთ, რომ ავადმყოფობა არ გაჩნდესო, განუმარტეს რუხაძემ და აბრამიამ. კოლმეურნეებმა ისე იფრინეს ისინი, რომ კინაღამ გზაში დაეხნათ ქალაქში გამოხვეული თქვენი დედლები.

ამრიგად, ექიმებმა მხოლოდ თქვენი მექათმეობის ფერმა გადაარჩინეს. ქათმებისაკენ. მეზობლების „შეუგნებელი“ ქათმები კი დარჩნენ ბედის ანაბარა, ისე რომ მათ დღევანდლამდე ფრჩხილიც კი არ წამოსტკივნიათ! ახია მათზე, რატომ არ დაუჯერეს რუხაძეს და აბრამიას?

საჭიროდ მიგვაჩნია ზემონათქვამს დავსძინოთ კიდევ ერთი „სამწუხარო“ ფაქტი იმ პასუხიდან, რომელიც თქვენ ნიანგს გამოუგზავნეთ მის შეკითხვაზე. თქვენ სიტყვა-სიტყვით გვეწერთ:

„ქათმები, რომლებიც იმ დღეს ვერ დაიჭირეს და დარჩა დაუკლავი, ამჟამად ცოცხლები არიან!“

სირცხვილი მათ! განა სიცოცხლის ღირსნი არიან ისეთი ქათმები, რომელნიც უსინდისოდ მიიმალნენ იმ საბედისწერო მომენტში, როცა მათს „და-ძმებსა“ ელვტდნენ? ვითომ რა დაამტკიცეს ამით? ის, რომ ვეტამბულატორიის, ან რუხაძე-აბრამიას დიაგნოზი მართებული არ იყო? ვინ დაუჯერებს მათ? ხომ არ ჰგონიათ მაგ „ვაჟბატონ-ქალბატონებს“, რომ რუხაძემ და აბრამიამ ქათმებზე ნაკლები წინდახედულება გამოიჩინეს?

მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა და, გულახდით რომ ვთქვათ, ამ საქითხის გამორკვევა ჩვენს კომპეტენციას ნაკლებადც უახლოვდება. ყველაფერი ეს მხოლოდ სიტყვამ მოიტანა, თორემ ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, უფრო იმის ვაგება გვაინტერესებდა, ყელი ხომ არ გაუტყარა პატივცემულ მექათმეებს თქვენი აწ გაპარტახებული ფერმიდან წაღებული „რგვლად“ მოხარშული დედლების ძვალმა? გთხოვთ გადასცეთ მათ ნიანგის ნახვის ნატვრა.

ნიანგა

ნახ. დონისა

აქაორ დაქაორკალი

ამერიკისა და ინგლისის ბირჟებზე დღითიდღე ეცემა აქციების კურსი. ბირჟებზე პანიკაა.



კრიზისის ტვირთს ეს ჯაგლავი როგორ წაუტყევა: ეწვიან, ეწვიან და ვერ აუწევიან!

ინგლის-ამერიკის „მეგობრობა“

ინგლისსა და ამერიკის შორის თანდათან ძლიერდება ეკონომიური წინააღმდეგობანი. ამერიკა ცდილობს 'ხელში' ჩაიგდოს ყველა ქვეყნის სავაჭრო ბაზრები, სადაც აქამდე ინგლისი სარგებლობდა უპირატესობით.

ნახ. ზუროსი

ბასალეზის ბაზრები



„მეგობრული“ მუჯღუფუნი

ემბოზაურობა ტყიბულში

დიდებულია მეზახტეთა ქალაქი ტყიბული! აგერ საბელასურის ხეობაც. აქ ოთხ წელიწადში ახალი შახტი აამუშავეს. მწვანე ხეივნებში ჩანს სასახლეები, ბუნკერები, კოტეჯები, ქვანახშირით დატვირთული ემვლონები...

როცა ლენინის შახტს მიეუახლოვდი, თბილისში ჩიხორა ინჟინერი ქრისტეფორე თათარიშვილი შემომგება. მხიარულ გუნებაზე იყო. სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა მისმა შახტმა.

— შემოგველე, — ჩვენი მეზახტეები ნამდვილი დევგმირები არიან; აი, თუნდაც სოციალისტური შრომის გმირი ა. ქასრაძე. ყველა ნორმებს სძლევს, ყოველთვიურ დავალებას ოთხმაჯად ასრულებს, ასეთია აქ უმრავლესობა! გავემარჯვებთ, აბა რა იქნება? — უმაღლე ბლოკნოტი ამოვიღე, დავიწყე ფაქტების ჩაწერა. ინჟინერმა ღიმილით წამოხურჩულა:

— ეგ ფურცლები, გეთაყვა, არ გეყოფა, მთელი წიგნია საჭირო!

მედივარ და სიხარულით მეგება გული. მოასფალტებულ ქუჩაში თვალწინ მეზახტის „მოსკვიჩმა“ ჩაიქროლა, სახლისკენ მიდიოდა სტახანოველი.

მახლობელ მალაზიდან ხმაური შემომესმა. — კაცო, — ცხარობდა გამყიდველ-გამგე ჩი-

ტო კოლოშვილი, — რა უნდა მიყოს, ორას ორმოცდაათი გრამი აკლია, მეტი ხომ არა! ეგ რა დიდი საქმეა! ამას წინათ ერთი ზოზრდილი აქტივ გამიჭრელეს, იმას პროკურორმაც დაყნოსა, ცუდი სუნიც დატრიალდა, მაგრამ...

ეტყობა კოლოშვილს ესმოდა თავისი სიტყვების ძალა:

ქვანახშირის ტრესტის „ორსის“ უფროსმა ა. ჩხარტიშვილმა პასუხისმგებში მიცემის ნაცვლად, იგი დააწინაურა. ახალ, თბილ ადგილზე მოათავსა ჩვენში დარჩეს და სიტყვამ მოიტანა: ამბობენ, რომ ხშირად საქონელი აქაური „ორსის“ საწყობიდან „გადის“ (აბა, სახლიდან ხომ არ გაიტანენ!).

ამ უბრალო ამბავზე, ა. ჩხარტიშვილის აზრით, არცა ღირს წერა და მეც აქ უგულოდ წერტილი დავსვი.

მოჩუქურთმებული ბიბლიოთეკა ჩინებულად არის მოწყობილი, რა წიგნი გინდა, რომ აქ არ იყოს.

— ახალი გაზეთი გაინტერესებთ? სამი დღეა რაც არ მიგვიღია, — ნაწყენად მომიგო თანამშრომელმა. ავენთე, უმაღლე ტელეფონით დავუკავშირდი კავშირგაბმულობის უფროსს ტ. კაჭკაჭიშვილს.

— რით გამოგვზავნო გაზეთი, რით? ცხენი მყავდა, გარდაიცვალა, მანქანა ამ წუთში დაბრუნდება, ნაქერალას იქით, რაქისკენ ერთი წამით გადირბინა, ისე მუშაობით კარგად ვმუშაობთ, ხვითქი გადავგდის, მაგრამ არავინ გვაფასებს! — მიპასუხა კაჭკაჭიშვილმა.

ჩვენ კი სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ კაჭკაჭიშვილის მუშაობა ჯეროვანად შეაფასა რაიკომმა და საჭირო რეცეპტიც გამოუწერა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ახალ ფიზკულტურულ მოედანზე მეზახტე ქაბუკები ფეხბურთს თამაშობენ. ერთმა მყურებელმა უხალისოდ წაილაპარაკა:

— ხალტურა მანქანამ წამომიყვანა აქეთ და გზაში ფეხი ვიტკინე, პოლიკლინიკაში მივედი, ფეხი უფრო გამისივდა! ერთი სკამი არა აქვთ, რომ კაცი ჩამოჯდეს!..

ტყიბულის ცენტრში ვართ. სწორი ქუჩები, სასახლეები, ბალები, ვინ ჩამოსთვლის რამდენი რამ შემატეს ამ შავი ოქროს ქალაქს სტალინურმა ხუთწლიდებმა.

გვითხულობს სასტუმროს, მაგრამ დაუხმარებლად ვერ მივაგენი: არც ერთ ქუჩას, არც ერთ სახლს ტყიბულში ნომერი არ აღმოაჩნდა.

— რაში დავაბანდოთ ფული, ჭირიმე? — გულდამშვიდებით თქვა რაისაბჭოს კომგანმა კობახიძემ, — აქ ყველა ერთმანეთს ეცნობთ, ტყუილად რა საჭიროა ნომრების გამოკიდება, მასალის დახარჯვა?

აი, ჯანმრთელობის განყოფილება (გამგე დ. გაბედავა), აგერ ტყიბულშახტმშენის საბინაო განყოფილება (გამგე დ. კაპანაძე). ვინაიდან დერეფანი, ეზო და სანაგვე ყუთი ერთნაირი აღმოჩნდა, შიგ შესვლა ველარ მოვახერხე, უკან გავბრუნდი.

— ისინი მე მასწავლიან ჭკუას, — იცინოდა კომგანი, — მართალია, სესიაზე შემახურეს, მაგრამ აბა, რა უნდა ვიღონო, როცა სისუფთავის, წესრიგის დამცველები თვითონ მივსებენ თვალებს!..

კომგანი სახლში შევიდა. აივანზე გადმოდგა, ხელების ქნევით ვილაცას ემუქრებოდა: — დამასვენეთ, დამაცადეთ, თქვენ დავწყვიტათ ჭირმა! — მახარაძის ქუჩის დასაწყისში ათი წლის წინ ამოყვანილ სახლის კედლებს შუა ქაობიდან ბაყაყების შეწყობილი ყიყინი ისმოდა. გულჩვილ კომგანის შემხედვარენი კიდევ უფრო ლალობდნენ.

* *

ლამის 9 საათზე ადგილობრივმა რადიომ მეზახტეთა წარმატებების შესახებ ახალი ცნობები გადმოსცა. სასტუმროში ვზივარ და ვწერ მათს საამაყო მიღწევებზე. უცებ ოთახის კარები გაიღო და ჩემი ძველი ნაცნობი ინჟინერი კახიანი შემოვიდა, ქუდი ოდნავ აიწია:

— თუ ძმა ხარ, — მითხრა მან, — რაც გასაკიცხი ნახე, არავის გაუმხილო! რამდენი რამ არის კარგი და დასაწერი ტყიბულში და უხერხულია, რომ ცუდიც შეგხედება კაცს საწერად.

ვეთანხმები მეგობარს: მართლაც უხერხულია, რომ ამის საბაბს ვვამდევენ ზოგიერთი ტყიბულელი მუშაკები.

აკ. სხვაგვარი

ნან. ა. ბანძელიძის



შენსთან ვის ეცნობი. ვტყუებოდი ბუნების
სიმშვენიერით და ეპყობოდი ვეყავი, რომ
ისე მუდროდ გადმოვდი და რი.

— შეხედეთ, შტარა შეხედეთ და კარგად
დააკვირდით ამ კაცს. — მომართვა ერთმა
იქვეა ნაცრამი.

— რა მოხდა?
— იცნობ?
— დიახ, აქ გავიყვანი, თქვენს მოსვლამდე
მდიდარი ლიონერი მრეწველი ყოფილა.

მეტომა ახლობელი არივინა ჰქვამს: სულ გან-
მარტობელია, ყველას თვის არივინას და
შედას ასე დადევნებოდა და დეფორმირებული
დადის.

— მაშ ახლა მე მომისმინეთ. წლებს ვან-
მელობაში საიდუმლოდ ვინახავდი ამ ამხანაგს
მე და ჩემი სამი ამხანაგი: თქვენ პირველს
გამეფებოდა ამ საიდუმლოს.

— დიდო ხნის წინათ, — მაშინ ახალგაზრდა
მხატვარი ვეყავი, საესტეტი ახალგაზრდა, —
დავეტეტივით საფრანგეთის პროვინციებში
და ექსპეზეს ვხატავდი, ხან სალ და ხან სან,

ერთხელ ორ ახალგაზრდა ფრანგ მხატვარს
შეხვდა, — ისინი ჩემზე დაფრთხილებდნენ და
ესკიპებს აკეთებდნენ. ვადაწყვეტიტო ერთად
გვეყო. ჩვენ ისეთივე ხელოვნური ვეყავით,
როგორც ლანობი, თუ ისეთივე ღარიბი,
როგორც ბედნიერი — როგორც გენებით
ისე განსაჯეთ. კარგი ბიჭები ვყავით, ლია
გულსანი, ნიჭირები...

— ბოლოს ბრტანის ერთ სოფელში შეტინ-
მეტად გავგუჟირდა და რომ ჩვენსასეთი ღა-
რი მხატვარს, ფრანსუა მილტონს არ შევე-
დლებინეთ, ალბათ შიმშილით დაეწყუდე-
ბოდიო...

— ფრანსუა მილე? დიდი ფრანსუა მილე?
— დიდიო? მაშინ იგი ჩვენზე დიდი არ
ყოფილა. თავის პატარა სოფელშიც კი არ
იცნობდნენ მას, ღატაკი იყო, ბოლოკით
გოგონასმოდებოდა, ხოლო შოგერს არც
ბოლოკი გაანჩნდა. თითხებე შეეყვარეთ ერთ-
მანეთი და სულ მალე გულითადი მეგობრები
გავხდით. ვხატავდით და ვხატავდით შეუსყე-
ნებლეთ. უმარაგი ნახატო გვერთვეფებოდა,
მეგობარ მიუდევლი არივინ იყო. ძალიან ტკი-
ლილ მიდიოდა დღეები, მეგობარ ო, ღმერთო!

როგორ გვიჭირდა ცხოვრება ასე გავიდა,
სულ ცოტა, ორი წელი. მერე უკვე ერთმა
ამხანაგმა — კლოდმა განცხადდა:

— ბიჭებო, ჩვენი საქმე წასულია, წუთ ვერა
სვდებით ამას! თითქმის ყველა მხრი შტქარია
ჩვენს წინააღმდეგ: მთელი სოფელი შეშოვიარე
და ყველა კარი მოიხეტყა: მანამ ძველ ვა-
ლესს არ ვადავიხიბით აღარ გვერდობიან.

— კლოდო? — ვკითხე. — ვინაა ეს?
— დაიხედი! — წამოიხდის მილაქო ათქ-
მევირეთ. ამა, გვიხანსა შენი ქარლ!

— უაღრეს ტემს გვგმას გეტყ, უნდა
მოვფიქროთ. — დაიწყეთ კარლ ჩემი
ხელოვნების შემოქმედება და საიდუმლო
შემოქმედება მის შემდეგ, როცა ხშირებით
მომეყვარებ. ის ისე სწირად ხდებოდა ცხო-
ვრებაში, რომ მე უღლება მატარებანი
ჩამოვყავალიყო: ყოველი ნამდვილი
და მისი შემოქმედება დაფასებულად
ხელოვნანს ხიველიდის შენზე! გვეციკ

— კლოდო, — ვკითხე. — ვინაა ეს?
— დაიხედი! — წამოიხდის მილაქო ათქ-
მევირეთ. ამა, გვიხანსა შენი ქარლ!

— უაღრეს ტემს გვგმას გეტყ, უნდა
მოვფიქროთ. — დაიწყეთ კარლ ჩემი
ხელოვნების შემოქმედება და საიდუმლო
შემოქმედება მის შემდეგ, როცა ხშირებით
მომეყვარებ. ის ისე სწირად ხდებოდა ცხო-
ვრებაში, რომ მე უღლება მატარებანი
ჩამოვყავალიყო: ყოველი ნამდვილი
და მისი შემოქმედება დაფასებულად
ხელოვნანს ხიველიდის შენზე! გვეციკ

*) მთხრობაში, რომელი ჩვენს ფრანსუა შემო-
კლბითი იხატება, ავტორი ვიყავი, თუ როგორ
დახდება ნამდვილ ხელოვნება კოლონიურ საუ-
ბო.

ყველას ციმა ერთნაირად დაგვიარა
ტანში. დიდმარლით, წარდგომით რას
წინვინდა ეს. კარლმა განაცხა:

— სამარცხინო ამხანაგი ეს შეხედეთ ამ
ტილოებს, რომდენია! ყველა სულდ შეს-
რულელებული, ამაზე უკეთესი ნახეთ
მთელს ევროპაში, ამასვე ყველა
უსიკმური უტყვო!

— ამოიხეეთ კი, მეგრამ არაყ ყიდულობს.
— თქვა მილე.

— ეკ არიდერი, მოავარია, ჩა მიო-
წონით ჩვენი ნამუშევარი გმართინოდ
არიან. ამა, შეხედეთ შენს უკეთეს ტილს!
— ამა, თქვის ვინემ...

— ეგრე კარლ, ვაქმული, ბუთასია შენ-
მთავარს მისნი.
— როდის?
— ვინ შეგითავაზა?
— ახლა სად არის?
— მეტი, რატომ არ მიციც?
— კარგი, ყველას ერთად ვამოთ მეგონა
ფფრო მეტს მომცემდა. ისეთილი შეხე-
და. რა ფრანგი მოვინებო?

— ჯანდაბა! უნდა ვთქვა: რა მოგივიდა,
ფრანსუა...
— ვიცო, ვიცო, რომ დავანსისწულელ
მომივიდა, ასე ჯობდა მეგობრება ვინემ
ვაიმარდებოდეს და ერთ თამბისტის
მომეცემდა ამ სურათში!

— კომპოზიტორს წელიარ ამხანაგ ვინა
ცველი, ნურწყვე მომადის.
— ბიჭებო, — განაცხადა კარლ ჩემი მო-
ხანოთ ჩვენს ნახატებს ექვს რ ნაიცი?
— არა.

— აი რა, მეგობრებო, ჩვენი ნახატე
სახელი უნდა მოფუხეუით ამ რეპ...
— ვაცხოვრებულეთ სუბარო შეწყდა.
ყველანი კარლს მივაშტერდით: უსკარო
გამოიქანა იყო ეს ვინ გვახარა ჩვენ
ბიჭუნებულ სხელს? კარლ იჯდა და
გაიგებდა:

— ერთი მერად მნიშვნელობა კარგად
მოფიქრებულ გეგმა მატყს. მიღ ეს თუ
გვიხანსის შიმშილისა და ეჭვბახან.
ის გეგმა ჩვენი ცხოვრებლან განხარბობს
და უსათყოლ ვაგვამდარბებს.

— ვაგვამდარბებს, მუუა დაეჭვს. რას
ეცხია შენ სიმდიდრეს?
— ასი ათას ფრანს.

— ნამდვილად ვაგვამდარბებს! ხილავთ?
— დაიხედი! — წამოიხდის მილაქო ათქ-
მევირეთ. ამა, გვიხანსა შენი ქარლ!

— უაღრეს ტემს გვგმას გეტყ, უნდა
მოვფიქროთ. — დაიწყეთ კარლ ჩემი
ხელოვნების შემოქმედება და საიდუმლო
შემოქმედება მის შემდეგ, როცა ხშირებით
მომეყვარებ. ის ისე სწირად ხდებოდა ცხო-
ვრებაში, რომ მე უღლება მატარებანი
ჩამოვყავალიყო: ყოველი ნამდვილი
და მისი შემოქმედება დაფასებულად
ხელოვნანს ხიველიდის შენზე! გვეციკ

— კლოდო, — ვკითხე. — ვინაა ეს?
— დაიხედი! — წამოიხდის მილაქო ათქ-
მევირეთ. ამა, გვიხანსა შენი ქარლ!

— უაღრეს ტემს გვგმას გეტყ, უნდა
მოვფიქროთ. — დაიწყეთ კარლ ჩემი
ხელოვნების შემოქმედება და საიდუმლო
შემოქმედება მის შემდეგ, როცა ხშირებით
მომეყვარებ. ის ისე სწირად ხდებოდა ცხო-
ვრებაში, რომ მე უღლება მატარებანი
ჩამოვყავალიყო: ყოველი ნამდვილი
და მისი შემოქმედება დაფასებულად
ხელოვნანს ხიველიდის შენზე! გვეციკ

— კლოდო, — ვკითხე. — ვინაა ეს?
— დაიხედი! — წამოიხდის მილაქო ათქ-
მევირეთ. ამა, გვიხანსა შენი ქარლ!

— უაღრეს ტემს გვგმას გეტყ, უნდა
მოვფიქროთ. — დაიწყეთ კარლ ჩემი
ხელოვნების შემოქმედება და საიდუმლო
შემოქმედება მის შემდეგ, როცა ხშირებით
მომეყვარებ. ის ისე სწირად ხდებოდა ცხო-
ვრებაში, რომ მე უღლება მატარებანი
ჩამოვყავალიყო: ყოველი ნამდვილი
და მისი შემოქმედება დაფასებულად
ხელოვნანს ხიველიდის შენზე! გვეციკ

— კლოდო, — ვკითხე. — ვინაა ეს?
— დაიხედი! — წამოიხდის მილაქო ათქ-
მევირეთ. ამა, გვიხანსა შენი ქარლ!



— პატივცემული ღირსეულო, ქალაქიდან თქვენ თანაშემწე ვარეა
ბეჭედითი.
— ვადაცივ: არ შეუძლია, ამალდებით აჩის გარშემოტყუელი,
ზღვა საქმიგზოა ჩაფლუბითო.

სახლი ანუ სახლი

1. სანატორიუმის დირექტორის ნათესავები ერთმანეთს
კურთხეულ გაცივითი.

2. კლიტე სულ დაქვანგდაო და უპატრონო სამეცხელოს
კარბესეო.

3. კლუბს ფანჯარები შემოარვეცქ და გაცემ: მომარბნდით,
სახეფულდიაო.

4. ბაბუეს საეჭურს შეპაირდნენ, შევლითფლდა — დიდლ-
მეთო...

5. ბალი, საქსილიბოსტანში გამწარდებო. შევირის მიამ
და 3. ხალხმამამამ

უპირველესი ნაკვეთი

1. მტკრის მხრად მოთავსებულ რესტორანში კლიენტმა, ანგარო-ის
წარდგინის სიმღერა დაიწყო: წყალში ვეღვერა — ცეცხლში მივლიყო...

2. რუდუტკიაში ავტორს უთხრეს: თქვენი ნაწარმივი სუსტარო... — ჰონ-
რობარი მომეცით, კურთხეულ წყალს და ორივე მოვავანდებითო...

3. გამეფდელს უთხრეს: ორას გრამი ნაყინი ასე ცოტათია! — რა გქნა,
რომ არ შევამცრო, მაშინ დირექტორი მე თვითონ შეამცრობესო...

4. ავტობო-ბუზალტერს კითხეს: თუ მივავს ცოლმეოდა ამ ზაფხუ-
ლს და სათავი სათვითად წაწავა მომეფებსო.

5. უძელოდ დადიოდა, მაგრამ თავი მუდამ ქუდში ჰქონდა.
6. თვითონ თავმჯდომარი იყო და თავს ბუზალტერს აჯდა...

კ. მელაშვილი
8. ხალხმამამამ



ნიანგმა გახსნა საჩვენებელი უნივერსალური მაღაზია. საჩვენებელი ეწოდება იმის გამო, რომ ამ მაღაზიაში საქონელი არ იყიდება და გამოფენილია მხოლოდ ჩვენების მიზნით. არ იყიდება კი იმ მიზეზით, რომ აღნიშნული საქონელი წარმოადგენს წუნს, გამოშვებულს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების და არტელების მიერ. ამ დღეებში მივიღეთ საქონლის ახალი ასორტიმენტი. მათ შორის:

ორსაათიანი მანქანა



ორჯონიკიძის რაიონში მდებარე სატყეო მრეწველობის სამინისტროს საავეჯო ფაბრიკის მიერ გამოშვებულია საბავშვო ჯოკინა. აღნიშნული საქონელი წარმოადგენს ფეხადგმული ჩვილი ბავშვის დამხმარე სასიარულო მანქანას. მანქანა ბავშვს ეხმარება სიარულში მხოლოდ ორ საათს, რის შემდეგ ძვრება ძირზე მიმაგრებული ოთხივე ბორბალი და ხდება მხოლოდ მომხმარებლისათვის მოუხმარებელი საჩვენებელი საქონელი.

ნიანგმა მომხმარებელთათვის ჩვენების მიზნით ჯოკინაში ჩააყენა საავეჯო ფაბრიკის დირექტორი ანხ. მ. ლასურაშვილი. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ანხ. მ. ლასურაშვილსაც დაემართა ის, რაც ამ სურათზე აღბეჭდილი.

უხნარო „უხარი“

ჩვენი და სხვა მაღაზიების თაროებზე უხვად აწყვია არტელ „უხარის“ მიერ უხნარო ხელმძღვანელობის შედეგად გამოშვებული საბავშვო კაბები. ეს კაბები ისეთი ფერის სატინისგან არის შექერილი, რომ მოუხმარებელ საქონელთა სიაში გადირიცხა. აღნიშნული სატინისგან შექერილი ბალიშის შიგნითა პირი მომხმარებელმა ფიცხლავ დაიტაცეს, ხოლო კაბებს ახლოსაც არავინ ეკარება. როდესაც ნიანგმა ინახულა არტელ „უხარის“ თავმჯდომარე ანხ. ნ. ხოფერია, მას ფერი ეცვალა. კაბებს კი, ვინაიდან ფერი არ ეცვლებათ, მომხმარებლებთან გაბუტულები მშვიდად განისვენებენ თაროზე.



ასანთი „დუმ-დუმი“



მცხეთის ასანთის ფაბრიკამ მოგვაწოდა „დუმ-დუმის“ სისტემის ასანთის ერთი პარტია. ასანთის თავი გაკვრის დროს იმსხვრევა და გაფანტული ცეცხლები მომხმარებელს ისეთ დღეს აყენებენ, რომ ასანთის ფაბრიკის დირექტორი ანხ. გრ. მაცაბერიძე თეატრში წაუსვლელად ერთობა. სურათზე მოცემულია ანხ. გრ. მაცაბერიძის პორტრეტი, მაგრამ არ ჩანს იმის გამო, რომ მას ოთხი ღერი ასანთი ერთად აუნთია.

ჯუჯა-კაცთა სამკაული

გუშინ მივიღეთ თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკის ნაწარმი—მიმაკაცთა შარვლები. შარვალს იარლიკზე აწერია შემდეგი: „ეს ნაწარმი ორმოცდაექვსი ნომრიდან დაწყებული ორმოცდათოთხმეტ ნომრამდე ერთნაირად ფასობს. ფინანსიური გეგმა რომ გადაჭარბებით შევასრულოთ, ვუშვებთ ვასაყიდად მხოლოდ ორმოცდაექვსი ნომერ შარვლებს“. იარლიკს აკლია მხოლოდ შემდეგი: დახატული უნდა იყოს ორმოცდაექვსი ნომერ შარვალში გამოწყობილი კაცი და ქვეშ ეწეროს: „ფაბრიკის დირექტორი ანხ. შ. ქართველიშვილი. მიბაძეთ მას, შეიძინეთ ჩვენი ფაბრიკის შარვლები“.



„მბრუნველი“



—რას გაჩერებულხარ ამ სიცხეში?
—ავტოს ვუცდი, გარეუბანში მივდივარ, ახალი ნარგავები მინდა შევამოწმო, ცნობა მომივიდა — არ უფრთხილდებიანო.

მარკა და მამალი

(იგავი)

ერთი არტელის ნაწარმის მარკა დაეცა ბაზარზე, გადაწყდა—ფირმის აღდგენა „ახალი მარკის ბაზარზე“! თათბირი შედგა, მონახეს ამ გასაქირის წამალიც: დაასვენეს—საქონლის მარკად ყუთზე დახატონ მამალი! დასწერეს თქმი, ბრძანება, ხელგაშლილობა ამუღავნეს, დასახტ მამლის საყიდლად საქონელმცოდნე გაგზავნეს და ორ კვირაში არტელის ეზოში უკვე იხილეს, მამალი... (ახ, რა მამალი: წუთში ცხრაჯერ რომ იყივლებს!) მომატიყეს მხატვარიც, შემოქმედებით „მოცული“, ხატვა გაგრძელდა... ამ ხანში არტელის მხსენლად მისული მამალი პრაქტიკულად გაეცნო და გულის ტკენით აღმოხდა:

—აშკარად მომატყუილეს, აშკარა შეცდომა მოხდა: ამნაირ მდარე ნაწარმზე ჩემი პორტრეტის დახატვა, ხომ თვითონ ჩემს მარკას დასცემს, და გამხდის დასაძრახადა? არა, გეთაყვათ... მამალზე თქვენ ცუდი აზრი გქონიათ—თუ თქვენებრ თვალის ამხვევი და მატყუარა გგონიათ! თქვა და გაიქცა... არტელში კვლავ იხტობარი წაუსდათ, რომ მარკა თავის ნაწარმის კვლავ აღსადგენი გაუხდათ!

მოკალი: ნურვინ იგონებს უაზრო გამოსაგონელს: ნახატი მარკა ვერ იხსნის წუნს და უმარკო საქონელს.

შაკასადანი

ეკითხალ...

გრიმი უხლის

ერთხელ ერთი საშუალო ნიჭის და მსუბუქი ჭკუის მსახიობი ა. ნ. ოსტროვსკის პიესაში ასრულებდა რომელიღაც სუდეის როლს. წარმოდგენის დაწყების წინ, იგი შეუკითხა კულისებში მყოფ ავტორს:

—რას იტყვი, ამ გრიმში ვგვერ თუ არა სუდეის ტაპს?

—ჩემის აზრით, გრიმს მთლად რომ მოიხსნიდეთ, მსგავსება უფრო სრული იქნებოდაო, — მიუგო ოსტროვსკიმ.

მლიქმელობის კლასიკური ნიმუში

ერთხელ მეფე დედოფლო XIV ჯადრავს თამაშობდა. მისი პარტია წასაგებ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ მეფემ მაინც დაიჩემა: მოგება ჩემიაო.

—წააგეთ თქვენო უდიდებუდესობავ, — მიმართა მას ჰერცოგმა გრამმონმა ისე, რომ არც კი დაუხედავს დარჩენილი ფიგურებისათვის.

—კი მაგრამ თქვენ ხომ არც კი დახედეთ დაფას? — შეეკითხა მეფე.

—მდიქმელობის გამოსაცნობად სრულიად საკმარისია, რომ თქვენი მოპირდაპირენი გარემებულან: მოგების შანსი რომ გქონდეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ისინი მორჩილად ბლავიდს მორთავდნენ თქვენი გამარჯვების შესახებო.

ისე გავიზარდე, კურორტზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ჯანი არ მაქვია და ლონე. დავვაქაცდი, დავცოლავდი და არც შემდეგში წავსულვარ საკურორტოდ. ჩემი ცოლი კი ყოველ ზაფხულს მთის კლიმატურ კურორტზე დაბრძანდება, შემოდგომით ზღვისპირა კურორტებს მოივლის ბავშვების მკურნალობის მიზეზით.

იენისიდან დაწყებული ნოემბრის დღესასწაულამდე ცოლ-შვილს იძულებით გაყრილი ვარ. საკურორტო სეზონი ზოგ კურორტზე მთელ წელს გრძელდება და მთელი წლის სეზონზე რომ გადავიდეს ჩემი ქალბატონი, მაშინ დავიღუპე და ისაა...

წელს სექტემბრიდან ჩემი უფროსი ვაჟი სკოლაში დაიწყებს სიარულს, ის უკვე 7 წლისაა. ამით ჩემი ოჯახის საკურორტო სეზონი წელს საგრძნობლად შემოკლდება. ამიტომ იყო, რომ ამიხირდა ცოლი კურორტზე ადრე გაგზავნას, წელს ზღვაზე ვერ წავალ, წუწუნებდა. რომელი კურორტი ამომერჩია?

ამოსარჩევი ბევრია. თბილისის ცენტრალური ქუჩების გარდა საქართველოს ყველა ადგილი საკურორტოდაა წოდებული, მაგრამ ჩვეულებრივი დავა წელსაც გადავიტანე.

ერთი თვე გრძელდებოდა დავა იმაზე, თუ



რომელი კურორტი აჯობებდა. წყნეთი რა კურორტია, ის იგივე თბილისის გარეუბანია იმ განსხვავებით, რომ წყალზე გაჭირვება, კიკეთი ნესტიანია, მანგლისი შორსაა და

გზაც არაა სანაქებო, კოჯორში მთელი ქვეყანა მიდის, ბორჯომი კუჭის და ნაწლავების დაავადების დროს ვარგა, ჩემს ბავშვებს კუჭიც და ნაწლავებიც კარგი აქვთ. წალკერი და ბაკურიანი არ მომწონს მაინც და მაინც. ქვიშხეთში ქარი იცის, ორი წელი დავდიოდი იქ და გამომანმო ქარმა ჩალასავით.


დიდი ბკობის შემდეგ სურამზე შეჩერდა იმ მოტივით, რომ შესაძლებელია ბავშვებს მალარია ჰქონდეთ ტანში (მას თვითონ მეგონი მალარია აქვს თუ ბრუტელოზი).

ცოლის ამორჩევით ავიღე მისი ნათესავის მიტოვებულ სახლში ერთი ოთახი. დაპირებით თითქმის მუქთად, შემდეგ კი ხათრით, მაგრამ საკმარის ფასად. ოთახში წვიმა ჩამოდის, კერი ჩავარდნაზე, აივანი გადანგრეული, ეზო გატიტვლებული. ეხლა თვითონ მივდივარ იმ სახლის შესაკეთებლად.

იოლად გამოვალ-მეთქი ვფიქრობდი და წელს ოთახი ძვირი მიჯდება, რემონტი უნდა გავაკეთო და იმ ნათესავებისგანაც დავალებული ვრჩები.

მეხი

ბაზრის დაბოროტობაში



— ანალიზს ერთი კოვზი კარაქი არ ეყოფოდა, ნახევარ კილოს რომ მთხოვ?!
 — მიკროსკოპი გამიტყდა, ქალო, შეუიარაღებელი თვალით ერთ კოვზ კარაქში რა უნდა აღმოვაჩინო!

სარედაქციო კომისია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ხ. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1949 წ. 12/VII ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერეას საბ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. შეკ. № 878 ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 1487. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 78. ტირ. 11000. უგ 03637



უფასო სამღებრო



ვედოშვილის ქუჩაზე (თბილისი) ხეტუის საშრობი ქარხანა. პირნათლად მუშაობს ეს ქარხანა, მაგრამ როცა ის მუშაობს, იმ დღეს ახლომახლო მცხოვრებლები ფანჯრებს კეტავენ, თავს ანებებენ ეზოში სარეცხის გამოფენას და აგრეთვე, თუ ზაფხულია თეთრი ტანსაცმლის ჩაცმასაც. მიზეზი?

ქარხნის მილიდან მთელი უბნის რადიუსით უხვად იბნევა ქვარტლი და ნაპერწყლები.

მაგრამ ყველამ ხომ არ იცის ხსენებული „მილის ოინები“? ვთქვათ, უცხო მგზავრმა გაიარა ქარხნის გვერდით. ამ დროს გამოინავარდეს „უფასო საღებავი“ და გამვლული უფასოდ, შავად შეღებილი ბრუნდება შინ.

ხუმოსხენებული მიზეზის მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ქარხნის საკვამლე მილს არა აქვს მავთულის ბადე, რის გაკეთებაც ტექნიკური წესების მიხედვით სავალდებულოა.

კ. საფინიელი

ვისი ბრალია?

20 მაისს წალენჯიხის საშუალო სკოლის ეზოში თავი მოიყარეს მოსწავლეებმა. დაირევა ხარი. საწერი თემის გახსნის წინ, გამომცდელები (ჯანათლების განყოფილების წარმომადგენლები) ჩვეულებრივ მიესალმენ მე-7 კლასის მოწაფეებს.

- ბავშვებო, მზადა ხართ საწერად?
- დიახ, პატივცემულო მასწავლებლებო!
- აბა, თუ იცით რა თემა იქნება?

— „თინას ლეკური“, ან „შემოდგომის“ შინაარსი. მართლაც აქედან ერთი თემა აღმოჩნდა საწერად. ასევე, მერვე კლასში წინასწარ „გამოცნობილი“ თემა შეხვდათ. ამ მდგომარეობამ კომისია და განათლების მუშაკები „დააფრთხო“ და ორივე კლასში საწერი თემა გამოცალკეს.

25 მაისსაც მსგავსი კომედია განმეორდა: მათემატიკური საგნის წერის დროს, გვაინტერესებს რა მანქანებით და ვისი წყალობით ხდება ეს?

მცოდნე

უწყალო წყაღსადენი!

(ქუთაისი)

ქუთაისის პედინსტიტუტში წყალი მოლდის მხოლოდ ღამით. უმეტეს შემთხვევაში სტუდენტებს სასმელი წყალი არა აქვთ.

უწყალო წყაღსადენო, რაზედ მომიკალ გული, ხიცინხვან დამწვარი ვარ, მოდი, ჩამიდგო სული.

ღამამობით იღვიძებ, დღიხით ხარ მიმალფლი, ვინ გიღარაჯოს ჩემებრ, არ შოივიდოს რული?

ჯაბა



ჩანგაღმა გასჭრა

დ. სურამის არტელ „წითელ ავეჯში“ ადგილი ჰქონდა გაფლანგვისა, სახელმწიფო ქონების მითვისებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

„ნიანგის“ № 10-ში მხილებული იყო ეს დანაშაულობანი.

როგორც საქსარწტყეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. სერგო ჯებაშვილი გვატყობინებს, „ნიანგის“ მიერ მხილებული ბოროტმოქმედების ფაქტები მთლიანად დადასტურებულია. საქსარწტყეკავშირის პრეზიდიუმმა და პირადად ამხ. ჯებაშვილმა გაატარა ღონისძიებანი დამნაშავეთა დასახეულად.

სამატილიანი გაუკთხილება

მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეხვედრის დროს თბილისელებმა ორი ბურთი გაიტანეს ერთი ლოკომოტიველთა, ხოლო მეორე — საკუთარ კარში. მატჩი დასრულდა ფრულ 1:1.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ნახ. 5. ყოფშიძისა



— ფრთხილად, მარჯანია! თბილისელები გაიხლოვდებიან!